

საქართველო



GEORGIA

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

№45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ. ზუგდიდი

24.11.2017 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №22

გაუქმებული ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტებში არსებული რესურსების განკარგვაზე უფლებამოსილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „2017 წელს შექმნილი მუნიციპალიტეტების დროებითი ბიუჯეტების შედგენის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 ოქტომბრის N471 დადგენილების შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. ნება დაერთოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას გაუქმებული ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტებში არსებული რესურსების განკარგვაზე.
2. განკარგულება გადაგზავნილ იქნას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში.
3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი რ. ლაღიძის ქუჩა №12).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



მამუკა წოწერია